


„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОВА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50 კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.



გამოდის ყოველ-ღვინე ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უგანასხვლი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. რედაქციაში
ნებისა ითვლება მათგან დაქირაობისა და განცხადებ-
ლობაზედ.

თუ საქართველოში მოიხსნება, რედაქცია გაასწავლებს და შეამოკ-
ლებს დასაბუჯად გამოცხადებულ წერილებს. დაუბუჯდელ წერი-
ლებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა ვაჭრის

„დროებაზე“

ივლისის ზირველიდამ წლის დამლევაძღვე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი

ვისაც დღემდე არ შემოუტანია მეორე ნახევარ-წლის ფასი, რედაქცია სთხოვს
დაჩქარავენ ფულის გამოგზავნა, თუ არა სურთ, რომ ივლისის 1-დამ ვაჭ-
რთა მოახლოვდეთ.

პართული თეატრი

აპრილის, ივლისის 7

პართული დრამატული სცენის მო-
ყვარებთაგან წარმოდგენილი იქნება

კრონის დროის ოჯახის ხასიათებულად

I

ქუჩის

პომედი 2 მოქმედებად თხზულება
პრისტაივისა

II

დილა პორცილის შემდეგ

მოდელი 1 მოქმედებათ თხზულე-
ბა ა. შაზბეგისა

III

ლიპარიტისმენტი

IV

ლექსები

ა) ლეკურს ითამაშებენ გამოჩენი-
ლი მელეკურენი ბ. ბ. ზ. რჩეულო-
ვი, ს. იოსებაშვილი, ი. ცანციევი,
ბომბელაური და სხვანი.

ბ) პინტოურს ითამაშებენ ბ. ბ. ფურ-
ცელაძე, სარაგაძე და ჯაფარიძე.

გ) ჩანჭურს ხანჯლებით ითამაშებენ
დ. ბაბაშვილი.

ბილეთები ისყიდება მე-4 განყოფი-
ლებაში, პონსულის ქუჩაზე, წარმო-
დგენის დღეს თეატრის კასაში.

ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო
მუსიკა და ზურნა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი

დასაწყისი სწორედ 8 1/2 საათსუკ.

მედიკატორებით დავის

შემცირება

თბილისი, ივლისის 5-ს.

ღვე მუდამ გვეხმის საჩივარი მამუ-
ლების გაუმჯობესებასაგამო ამტყდარ
დავაზე. აქ ესა-და-ეს მემამულე ამა-
და-ამ მემამულეს თავს დაეცა, ეს ამას
შემოაკვდაო, ეს ამან დასჩენაო. ამის
გამო მოუსვენრობა მეზობლობაში,
მოუსვენრობა ნათესაობაში და გარ-
შინაობაში უკლებლად ჰლუბავენ ჩვენს
ეკონომიურს მდგომარეობას და ზნეო-

ბითაც რყენის საზოგადოებას შვილის-
შვილამდის.

ეს სამწუხარო ამბავი კარგა ესმის
და ჰგონობს თვით ჩვენი საზოგა-
დოება. მმართველობაც აპირებს სა-
ზოგადო სასამართლოებს გარდა ღო-
ნე მოუპოვოს ამ დავების გათავებას
და გამიჯნვის საქმეს გაუძღვეს.

მაგრამ სანამ ყოველივე თადარიგი
ამ საქმისათვის მოეწეობა, სანამ თვით
გასამიჯნავე სასამართლო ყოველ სა-
დავო საქმეს განიხილავდეს, რასაკვირ-
ველია დრო უნდა. ზამოცდილებით
ეცით, რომ 1868 წლამდე, თუმცა
საკუთარი გასამიჯნავე კომისიები მუ-
შაობდნენ, სიმრავლისაგამო დიდი ნა-
წილი მამულებისა გაუმჯობესი დარ-
ჩენ. პომისიები მუშაობდნენ ათიოდე
წელიწადი, მაგრამ მათ ბევრი ათი
წელიწადები კიდევ მოუწევდა, რომ
არ გაუქმებულიყვნენ. საქმე მასში
მდგომარეობს, რომ მრთელს ძავე-
სიაში გასამიჯნავე ყოველი მამული
და ამისთანა მძიმე შრომას ათი და
ოცი წელიწადი ვერ აუვა საკუთარი
გასამიჯნავე სასამართლოცა, რაც უნდა
დიდი სურვილი ჰქონდეს მმართველო-
ბას და საზოგადოებას.

ამისთანა მძიმე საქმეს დიდი დრო
უნდება იმის გამო, რომ ითხოვს დიდს
ხარჯს, მცოდნე სამსახურის კაცების
სიმრავლეს, თვით ბუნების შემწეობას,
რომ მთისა და ბარის ტყე-მინდვრებ-
ში მუშაობა შეიძლებოდეს ტაროსის
გამო. მრთის სიტყვით ყველას სურ-
ვილია გამიჯნვის საქმე მალე გათავ-
დეს, მაგრამ ამასთან შესცდება ვისაც
ჰგონია, რომ ათიოდე წელიწადს ამის-
თანა საქმე გათავდებოა. ეს შესაძლე-
ბელი არ არის და არა ერთი და ორი
თაობა ვადილის, სანამ სულ ერთი-
ნად გამიჯნება მთელი ჩვენი მამუ-
ლები.

ჩვენი მემამულენი რომ კარგა და-
უფიქრდნენ ყოველ თავისს გარემოე-
ბას, თავის ოჯახის და საშვილიშვი-
ლო მომავალ ბედს, ისინი ერთს ღო-
ნისძიებას მიმართავდნენ, რომელსაც

მათ კანონი ყოველთვის ნებას აძლევს
მოიხმარონ თავის სიკეთისათვის. ეს
ღონისძიება არის მედიკატორების
ამორჩევა დავის გასათავებლად.

მშვიდობის მოყვარე მემამულენი
ჩვენში ასე ჩაღიან კიდევ. ისინი კი
არ უცდიან გამიჯნველ კომისიების
მოსვლას, კი არ უცდიან სასამართ-
ლო როდის დანიშნავს თავის განყო-
ფილებას ადგილობრივ საქმეების გან-
ხილვისთვის, ისინი ერთმანეთს კი არ
უცდიან მოდავე როდის დაიწყებს სა-
სამართლოში ჩივილსაო. ეს მშვიდო-
ბის მოყვარენი ირჩევენ ერთმანეთთან
მოლაპარაკებით სანდო კაცებს, მათ
ანდობენ თვის დავების გათავებას და
აბოლოოებენ ოჯახების საბედნიეროდ
თავის საქმეებს. მამულსაც უკეთესად
უვლიან, ოჯახიც მოწყობილი აქვთ,
შვილებსაც სწავლაზე აყენებენ და
იხსნიან მათ მომავალს ვაი-ვავლანის,
შფოთის, სამღურავის და სასამართ-
ლოებში დავების უკან გაუთავებელის
სიარულისაგან. მედიკატორებით ვადა-
წყვეტა საქმისა ამისთანა მშვიდობი-
ანობას უმკვიდრებს მათ იმავე დროს,
როდესაც რომ სხვები სულ მოლო-
დინებაში არიან, რომ მოდავემ სასა-
მართლოში საჩივარი შეიტანოს, ან
თვითონ იწყებს და მთელ ათ წლო-
ბით ადვოკატების უკან სიარულს უნ-
დება, ვალეში ვარდება, ოჯახობაში
მოსვენება არ იცის და მეზობლობაში
შვილები სწავლა განათლების მიღე-
ბის ნაცვლად სწავლობენ შფოთს,
შურს, დავას და კლიაუზობას.

ძანონს ორი გზა მიუტია მოდავე-
სათვის: ერთი საზოგადო სახელმწიფო
სასამართლოში ჩივილი და მეორე
მედიკატორების ამორჩევა თავის მცნობ
სენილისთან კაცებში.

პირველს სასამართლოს უნდება
მომატებული დრო, მომატებული ხარ-
ჯი და მომატებული უკან სიარული.
მეორეს არც დიდი დრო უნდება,
არც დიდი ხარჯი და არც უკან დეე-
ნა, რადგანაც ამორჩეულ კაცებს მხო-
ლოდ ერთი საქმე ექნებათ გასარჩევი
და ახლო მყოფ მეზობელთაგან არიან,
რომელთაც ორისავე მოდავე მხრის
ყოველი გარემოება კარგა იცინ.

ჩვენი მოდავენი თავს არ იციებენ
და არ ფიქრობენ ადვილის და მოკ-
ლეს გზით საქმის მოგვრას, იმიტომ
რომ თითქოს დიდი მოფიქრება და
ძნელი საქმე იყოს შუა-კაცების მო-
პოვება. ისინი დაჩეულები სიარულს
რომელსამე ადვოკატთან და საჩივრის
შეტანას სახელმწიფო სასამართლოში.
ძანონის ნაჩვენებ ადვილ და იაფ გზას
თავს ანებებენ და გრძელსა და ძნელ

გზაზე მიდიან. აქაც ქართველური
უანგარიშობა თავს იჩენს.

რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ნუ
თუ სენილისიერი კაცები ვერ მოუ-
ნახავთ თავის ახლო მეზობლებში,
ნუ თუ ვერ ენდობიან ახლო მცნობ
კაცების სენილისს, ისე გავყრანებუ-
ლა ჩვენი ხალხი, რომ კაცის პოვნა
ალარ შეიძლება? ეს საფიქრებელი არ
არის.

ამბობენ იმიტომ ასე ხდება საქმეო,
რომ მოდავენი ერთმანეთს უყურებენ
და ელიან, პირველად მე კი არ გა-
ვანხებენ მედიკატორებსა, ჩემმა წი-
ნალმდევმა მხარემ დაიწყოსო. საცი-
ნელია, მაგრამ იქნება მართალი იყოს.

ამ შემთხვევაში დროა ჩვენმა და-
წინაურებულმა ნაწილმა საზოგადოე-
ბისამ, რომელიც მშვიდობის მოყვა-
რებას და მოსვენებას აფასებს, მაგა-
ლითი მისცეს და თვისი კეთილი გავ-
ლენა იხმაროს ამ მედიკატორების სა-
მართლის განშირებისათვის.


სახელმწიფო სასამართლოებში დავა
ხშირად ორსავე მოდავე მხარეს ძვი-
რად უჯდება და დროს განმავლობა
ხომ ორსავე სულს უზუთავს. ნუ ვი-
ვიწყებთ, რომ უფრო ბევრ მემამუ-
ლეთ ხარჯის მორიდების გამო სასა-
მართლოებში საქმე არც კი აქვს და-
წყებული და მუდამ კი შფოთში ატა-
რებს თავის სიცოცხლესა. ამ შფო-
თის გათავება საქვეყნო კეთილი საქ-
მეა და საშვილი-შვილო წარმატების
ნიადგაია.

დროა მოვიგონოთ მედიკატორების
სამართალი და მას დიდი ყურადღება
მივაქციოთ: ეს დიდი ნაბიჯი იქნე-
ბა ჩვენის საზოგადოების ცხოვრება-
ში...

უწყლო სოფელი

ბევრს მოითმენს ადამიანი, ბევრის
ატანას შესძლებს, მაგრამ წყალის
უქონლობა-კი არ შეუძლიან. ხშირად
იტყვიან: სიმშლილი წყალის სმით მო-
იკლოა, მაგრამ წყურვილის მოკლეა,
წყალის მაგიერობის გაწევა არასფერს
არ შეუძლიან, წყურვილს საქმელით
ვერ მოიკლავს ადამიანი.

ძალამი სწორედ რომ ძნელად ას-
წერს იმ მდგომარეობას, რომელშიაც
დღეს ველის-ცინელები არიან ჩავარ-
დნილნი. მთელს სოფელში ცვარი
წყალი არ მოიძებნებაო. წყურვილით
იღრჩობა ოთხი ათასამდე სული მცხოვ-
რები და ამათი საქონელიო...



ქარგა დიდი სოფელი, მელის-ციხე უხსოვარის დროიდან სარგებლობდა მუკუზანის წყალით, რომელსაც სათავე ჰყრის ხეობაში აქვს, შემდეგ ჩაივლის თ. თ. შავკვადების მამულებზე და მიემართება მელის-ციხისაკენ. 1882 წლისა არ იყოს, — თ. თ. შავკვადის წელსაც თავის მამულეზისაკენ (მუკუზანი) გადუშვებენ ამ წყალს და მთელს სოფელს მელის-ციხეს უკვარ-წყალოდ დასტოვებენ. ხსენებულს 1882 წელს მბილისის გუბერნატორის განკარგულებით წყალს ისევ ძველს კალაპოტში გადაადგებენ, მაგრამ მუკუზანის მებატონეთა თვით-მნებელობა წელს კვლავ იჩენს თავს. და რაზედ ამყარებენ პატივცემულნი თავადნი ამ თავიანთს თვით-მნებელობას? მხოლოდ მასზედ, რომ ხსენებული მდინარე მათს მამულებზე მიმდინარეობს. ბევრია ცხადი მაგალითი იმისა, რომ ველის-ციხელნი უხსოვარის დროიდან სარგებლობდნენ ამ წყალით: კალაპოტის დასწვრივ გამართულია 10 წისქვილი და ზოგიერთს ამათგანს დიდი სიძველე ეტყობა. და თუნდა ესეც არ იყოს, განა ამოდენა სოფელი გაშენდებოდა უწყლო ადგილზე? დღეს-კი მუკუზანის მებატონენი 3000 მან. სთხოვენ ველის-ციხელებს: — მოიტათ ეს ფული და მაშინ აღარც წყალი მოგვსობათო. მელის-ციხელნი ნათლად ხედვენ უსამართლობას და თვით-მნებელობაზე თვით-მნებელობითვე ჰპასუხობენ: იკრიბებიან თოხით, ბარით, ნიჩბით და მუკუზანელებისაგან გადაგდებულს წყალს ისევ ძველს კალაპოტში უშვებენ. ასეთს გლენების ვითომ თავისუფალ მოქმედების გამო მუკუზანელებისაგან ტელეგრამა ტელეგრამაზე იგზავნება მბილისის უმაღლეს მთავრობისადმი. ბლენებს აბრალებენ — ვითომ ამათ მოეკლათ ერთი მებატონე და გაეტაცათ 80 მან. ღირებული სხვა-და-სხვა სამუშაო იარაღები, წაუყოვნებლივ ინიშნება გამოძიება. მოხელე, რომელიც გამოძიებას ახდენდა, ამოკლულს მებატონეს დამთვრალს ნახავს ერთს ღუქანში და იარაღების გაპარვის საქმე არ მტკიცდება...

მელის-ციხელნიც მიმართვენ მბილისის გუბერნატორს საჩივრით. გუბერნატორი ტელეგრამით წინადადებას მისცემს მაზრის უფროსს, რომ ამ წყალით უხსოვარის დროის კვალობაზე, ამიერიდამაც ერთ-რიგად სარგებლობდნენ, როგორც მუკუზანის მებატონენი აგრეთვე ველის-ციხელნიც, ხოლო იმ მხარემ, რომელიც დაჩაგრულად რაცხს თავის-თავს, მიმართოს სამსჯავროს.

ბ-ნის გუბერნატორის განკარგულება სიამოვნებას მოჰგვრის ველის-ციხელებს, რადგან მათი საჩუკარიც ის იყო, რომ კვლავინდებურად ნება ჰქონიყოთ წყალით ესარგებლათ.

მაგრამ ბ-ნი გუბერნატორის კეთილ-გონიერი განკარგულება დღემდე, რაღაც წარმოუდგენელის მიზეზით, არ მოჰყავთ, სისრულეში და

ველის-ციხელების მდგომარეობაც სწორედ რომ წარმოუდგენელია. — ამ უკანასკნელ დღეებში ძველს კალაპოტში რამდენიმე საათით მოდიოდაო წყალი, მაგრამ ისე ცოტა, რომ კიკითაც-კი ვერ ამოიღებდით. — ეს გარემოება მოხსენებულია მელის-ციხის უფროსის თანაშემწის პროტოკოლში. მასულის იენისის 28-ს ველის-ციხელებმა მიმართეს მაზრის პოლიციას და სთხოვეს დაეთვალიერებინა მელის-ციხის არხები. პოლიციისაგან შედგენილს აქტში მოხსენებულია, რომ ეს არხები სრულებით ამომშრალნი გამოდგენ... ამ ვითარებაშია დღეს-დღეობით საქმე. ველის-ციხელებმა აღარ იციან — რას ეწიონ. მიმართონ სასამართლოს? მაგრამ სანამ სასამართლოს წესით ეს საქმე დამთავრდებოდა, მანამ რით მოიკლან წყურვილი?...

შინაური ქრონიკა

ზასტავების გამო დიდს გაჭირვებაში არიან ბარგის მზიდენი და მოგზაურნი, რომელნიც მბილისისა და ძაგაყის შუა დადიან. ამ გზაზედ სამი ზასტავა არისო. ამბობს კორესპონდენტი: ერთი მცხეთაში, მეორე შასანაურში და მესამეც ბალთაშია. ზასტავის წესით ყველა მგზავრს ბაჟი იმ მანძილის კვალობაზედ უნდა გადახდეს, როდენიც მგზავრმა გაიარა, ანუ გავლას აპირებს. მაგალითად მგზავრი მბილისიდან წილქამდის რომ მიდიოდეს ხარჯიც ამ მანძილის კვალობაზე უნდა ერთმოდესო. მაგრამ საქმით ასე არა ხდება, მცხეთის ზასტავაში ბაჟს შასანაურამდის ართმევენ. მუ ენიციობაა ამ უსამართლო მოთხოვნაზედ უკმაყოფილების გამოცხადება მოიწადინეთ, მაშინვე დამტკიცებულს მოწმობას მოგთხოვენ, რომელშიაც გამოცხადებული უნდა იყოს საიდან და სადამდის მიდინარ.

შველას ძალიან კარგად ესმის რა გაჭირვებაშია ჩაეარდება ხოლმე ის კაცი, რომელსაც მამასანლისებისგან რომელიმე ქალაქის მიღება დასჭირდება. ხარჯს გარედ იმოდენა ხეყნა, მუდარა და უკან დევნა მოუწდება, რომ თავსა და ბედს დააწყველინებს და ამოდენის წვალებით ნაშოენი მოწმობა კი ზასტავის მმართველთა კონტროლისათვის სრულიად მომეტებულია, რადგან მგზავრი, რომელიც პირველს ზასტავაზედ დამალავს მოწმობას, მეორე ზასტავაზედ ან კვიტანცია უნდა უჩვენოს პირველის ზასტავისა და ხვედრი ბაჟი გადაიხადოს, ან კვიტანცია უნდა დამალოს და პირველის ზასტავიდან ბაჟი სრულიად გადაიხადოს.

ახირებულ თავხედობას სჩადიან მბილისის მეფაიტონები. მიხვალ ფაიტონში ჩასაჯდომად თუ არა — კოჭებიდან დაგიწყებენ თვალთ ზომივას

და თუ არ მოეწონე, (თუ მეტს არ გამოიღოს) — ფეხსაც არ შეგადგმევენ ფაეტონზედ. მასულის სამაბათს «პარიკის» სასტუმროს წინ მოვიდა ერთი გაჭირვებული მუშა-კაცი, ჩაჯდა ფაეტონში და უთხრა წასულიყო, მაგრამ მეფაიტონემ № 156 ფეხიც არ მოიკვალა. როდესაც მუშამ განუყოფრა მაშინ მეფაიტონემ მოჰკიდა ხელი და ძალით გადმოგდება დაუწყო მას. მათ ჩხუბზედ მოვიდა «გარადავია» № 11 და უთხრა: მეფაიტონეებს წინადაწინ უნდა მისცეს ფული — ვისაც ფაიტონით წასვლა უნდაო. ეს წესი როდის შემოიღეს, ნეტავი?!

ზორიდან გვწერენ: «თუმცა ერთხელაც იყო თქვენ გზებში დაბეჭდილი შენიშვნა სოფელ ძვემონიკოზიდგან, შესახებ სასაფლაოს გადატანისა იმ ადგილიდგან, სადაც ეხლა იგი იმყოფება, მაგრამ ამხედ ყურადღება არავის მიუქცევია ჯერაც. საჭიროა სასაფლაოს გადატანის დაშორება სოფელს გარეთ, რადგან იგი შიგ შუა სოფელშია ჩაჩხირული და ახლად დასაფლავებული გვამებისაგან გრცელდება სიცხეების გამო მთელს სოფელში ცუდი და მავნებელი ჰაერი.»

ბათუმის სკოლის მასწავლებელი მ. ნათაძე გეთხოვს ჩვენს გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა განუცხადოთ ბათუმში მყოფს ცირკის მმართველს ბ. შურერსა, რომელსაც წერა-კითხ. — გამ. საზ. სკოლისათვის შეუწირავს 106 მან. და 20 კაპ. ეს ფულები ჯერ კიდევ პოლიციის ხელშიაო, რომელიც, იმედია, მალე გარდასცემსო დანიშნულებისამებრო.

„მწეპისი“ იწერება: „იენისის 2-ს დ. სახსურში განისხნა ოფიციალურად სოფლის სამკურნალო. საზოგადოების სასქლით მადლობა განაცხადა თავადმა დავით წერეთელმა და გამოსთქვა საჭიროება ხელსთა განუბითი სხეულების ექიმობისა და განკურნების შესახებ: „ხელსი ერთი რაღაც მეტად წვალობს, სთქვა მან, განუბითი სხეულები სვანს, უცოდინარობისაგან და არა ჩაგლებს საჭიროებს იგი მძანთებლობის დასმარებას; იმედია, მთავრობა სქეს გაკვიმართავს და ამ სამკურნალოსთან შეკრე — განუბით სამკურნალოსაც კვლირსუბით.»

ამ სიტუვასე მაზრის უფროსმა კუითავსკიმ მოახსენა საზოგადოებას: აჭურმა საზოგადოებამ იცის, რომ ჯერ კიდევ თ. სესტარ წერეთლის სიცოცხლის დროს იყო ადმრული საქმე ორ კვალთან ნორმალურ სასწავლებლის გახსნაზე. ერთ დროს საზოგადოება ჰმირდებოდა ადგილის შეწირვას და სასლის შოგნას სკოლისათვის; მაგრამ, სამწუხაროდ, აჭურს საზოგადოებას მას შემდეგ დაწასიერი ზრუნვა გამოუჩნია. სრული იმედი უნდა ვიქნახით, რომ თუ საზოგადოება მისცემს მძანთებლობას სკოლისათვის ადგილს და შესაფერს შენობას, მძანთებლობაც მზრუნველებს

არ დააკლებს სკოლის დაასრების საქმეს დ. სახსურში.

„ასლად დაასრულეს სამკურნალოში ექიმად ბ. ტერლეტი დანიშნა. ექიმთან არის დანიშნული ორი თერაპიული და ერთი ბუბია. სამკურნალოში სდგას ოთხი ტანტი: ორი ქალის განყოფილებაში ორიც კაცისაში. ამ სამკურნალოში ავადმყოფნი უნდა დაჩვენ იმ დროდინ, სანამ ექიმი ავადმყოფობას შეიტყობდეს და გამოაკვლევდეს. შემდეგ ორი ანუ სამი დღისა არც ერთს ავად-მყოფს არ ექმნება უფლება დაჩვენ სამკურნალოში. ავად-მყოფს სამკურნალოდამ სარჯი არ ეძლევა; მხოლოდ წამლები ეძლევა მუქთად, მაგრამ ძლიერ ცოტა ფულია დანიშნული წამლებისათვის; მთელს წელიწადში ორჯი მანეთი არის დანიშნული წამლების სასყიდლად: ექიმს არ შეუძლია აიღოს წამლისათვის და თავის შრომისათვის სასყიდელი. რასაკვირველია, როგორ იათავსებ უნდა იყიდოს წამლები, 200 მანეთის წამლი მთელს საზოგადოებას არ ეყოფა“.

„მწეპისი“ გვაცნობებს, რომ საწერეთლოში თ. დავით როსტომის ძეს წერეთელს შავის ქვის თხრის დროს ერთ ადგილს უხსავს სუთი კვში, ჩამოსხმული ოქროს მზგავის მეტალისაგან. ჩვენ ვხსენებთ ეს კვში და მართლაც გასაკვირველია არიანო. კერ შეიტყვეს ჯერეთ, თუ რა დროს უნდა ეკეთებოდა ეს ამათი გაკეთება.

წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში კურსი შეასრულეს 60 ემაწვილმა. ამათში მხოლოდ ოცი ემაწვილი აღმოჩნდა ღირსი თბილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში შესვლისა.

ამ წელში საქსაწესოს სუთივე სასულიერო სასწავლებლიდამ, როგორც ამბობებ, ბევრი შავირდები იგზავნებიან სემინარიაში და, იმედია, რომ ადგილის უქონლობა არ დააბრკოლებს მათო, სწერს იგივე გაზეთი.

ი. ქავთარაძე გვთხოვს გამოაცხადოთ, რომ «დროშის» მე-140 №-ში დაბეჭდილი წერილი, მისს სახელითა და გვართ ხელ-მოწერილი, მას არ ეკუთვნის. — მე ბევრი მოწინააღმდეგე მყავსო, გამოაცხადა რედაქციაში ი. ქავთარაძემ და ამ წერილის შემთხვევიც ერთი იმათგანი იქმნებოა...

„დროშის“ კორესპონდენტები

ხმამი. მოხვეთ საცხოვრებელი მხოლოდ საქონელია და სხვა არაფერი. ხალხს უგვრძენია ესა და ამისთვის ისეთს კაცს ძნელადა ნახავთ, რომ საკმაო ცხვარი არა ჰყვანდეს. მაგრამ ამ უკანასკნელს ხანში ისე რიგად გაძინელდა საქონლის შენახვა, რომ აღარ იციან რა ქნან და, ვის მიმართონ. უმთავრესი გაჭირვება იმაში მდგომარეობს, რომ სოფლებს შუა საძოვარი ადგილები თანასწორედ არ არის გაყოფილი და იმ დროს, როდესაც ერთი სოფელი თავის მთებს კიდევ აჭირავებს, მეორეს იმდენი ადგილიც არა აქვს, რომ ცხვარი ფეხად მოატ-

რიალოს. საზაფხულოდ ადგილებს დაქვრავი ზამთრის გასაფლთან ერთად იმოდენა ხარჯს შეადგენს, რომ პატრონს სრულიად აღარა რჩება-რა.

ზასტავების უზომო ბაჟი, ყაზახებისგან მეცხვარეების დაწოკება ამ ხალხს უმლის ცხვრის გაშენებას.

ღიდი ხანია, რაც ამ საგანზედ ლაპარაკი არის, თვით მთავრობაც კი ცდილობს ხალხს ამ მხრივ შეღავათი მისცეს, მაგრამ ზოგიერთებისგან ამ საგნისადმი უყურადღებობა ყველაფერს აბრკოლებს და ხალხის კეთილ დღეობას წესიერი მსვლელობა არ ეძლევა. მართად ერთი იმედი ენლა მხოლოდ იმ პირებზედ არის, რომელთაც სახემწიფო ქონებათა მინისტრისაგან მინდობილი აქვთ გამოიკვლიონ გლეხთა მდგომარეობა და დაწერილებით შეატყობინონ. სამწუხაროდ ეს გონივრული განზრახვა ყველგან თავის მიზანს ვერ მიაღწევს, რადგანაც გამომკვლევებნი ბევრგან ისეთი პირები არიან დანიშნულნი, რომელთაც ადგილობრივი მცხოვრებლების ენა არ იციან და მთარგმნელების საშუალებით შეკრებილი ცნობანი შეცდომებით სავსე იქმნება.

ხევსაც სწორედ ასეთი ბედი ხვდა, და ვინ იცის იქაური გამომკვლეველი გლეხთა ყოფა-ცხოვრებისა უნებლიედ რამდენს შეცდომილებაში ჩაეარდებოდა.

ამ გვარი მშრომელი, რაც უნდა პატიოსნად და სინდისიანად ასრულებდეს თავის მოვალეობას, მის შრომას აუცილებლად ნაკლებობა დაეცემა და ვინ იცის რამდენი ხალხი სამინისტროს გონივრულს სურვილს ვერ მოაღწევს, ეკონომიურს მდგომარეობას ვერ გაიუმჯობესებს.

შველა ამ გვარი მშრომელი, თუ იმ ხალხის შვილი არ არის, რომლის ცხოვრების გარემოებაც დაწერილებით უნდა გამოიკვლიოს, ადგილობრივი ენა მაინც უნდა იცოდეს; და თუ ეს უკანასკნელიც რომელისავე მიზეზით შეუძლებელია, მაშინ მეტი არ იქნებოდა მთარგმნელებათ სინდისიანი ყმაწვილი კაცები მაინც მიუჩინონ. მს არც ძვირად დაჯდება და საქმეც უფრო ბეჯითად, სამართლიანად გამოიკვლევა. ბევრს ხარჯთან-ცოტა ხარჯიც შესაშური არ არის, ნამეტნავად მაშინ, როდესაც ცოტა ფულის დაზოგვას შეუძლიან ბევრიც უქმად ჩაატაროს.

ხევი-კი ყველაზედ მეტად ყურადღების მიქცევის ღირსია...

აქამდის კიდევ მოხვედნი, როგორც მთიულეთის მცხოვრებნი ფულის საშოვნად ქირაზედ მაინც დადიოდნენ. მაგრამ ეხლა ეგ საშუალებაც მოეპოვებოდა... პრაფრისთან არაფერი ხელში არ უჭერიათ და მათში ისეთი მზრუნველიც არაინა სჩანს, ვინაც მთის ხალხის მდგომარეობა მთავრობის ყურამდე მიაღწეინოს, რომ მათი უწყალო მდგომარეობა ყველასთვის ცხადი გამხდარიყო. მართს ხანში სხვა-და-სხვა პირებს თხოვნა მიართვის და დიდის და-

პირების გამო დიდის იმედით არიან მოხვედნი გაჭირებული სოფლები, მაგრამ დაპირება დღემდის დაპირებათა რჩება, ხალხი თან-და-თან ღარიბდება და აღსრულება-კი არსადა სჩანს.

აქეთა მხარეს ბრძოლის ველზედ მყოფი ჯარები, მათი ბარგ ბუნავი, ჯერი და საომარი მასალა მთიულ მოხვედთ თავიანთის საშუალობით გადმოზიდეს მთაზედ და ის ნახევარ ფუთი თივაც სრულად ვერ მიიღეს, რომელიც მმართველობისგან უღელ ხარზედ დღე-ღამეში ჰქონდათ დანიშნული. ღრო არის ყურადღება მიექცეს იმ ხალხს...

მიზიმი, თბათვის 25-ს.

მიზიმი, დაიწვა: არც მოსავალი, არც საქონლის საქმელი, არც არა რაიმე სამუშაო. მისაც ორასი და სამასი ათეული ძნა გამოსდიოდა, ათი და ოციც აღარ გამოუვიდა. მაგრამ ამ პურის მოუსაველობას კაცი აიტანს. ამ ოთხს წელში ღვთის მოწყალებით, საქმაო მოსავალი იყო და ძველი პური გვემოვება, მაგრამ რა უყოთ საქონელს, რა ვაჭამოთ, სულ ჯანაბას გადავრეკოთ,—ეს კი არ ვიცით. ლამის საქმე იქამდინ მივიდეს, რომ ჩვენი ხელით დავჭრათ ყელები. არც ბზე, არც ერთი მუჭა თივა არსად გვემოვება. მინდვრები ისეა მოფშრული მზისაგან, თითქო განგებ ცეცხლი წაუკიდებიათო.

ამ ყველა პირს კაცი აიტანს, ყველას გაუძლებს, მაგრამ ამ გაჭირებას კი, რომელსაც ჩვენ ჩვენივე მოძმეები, ჩვენისთანა გლეხები, გვაყენებენ კაცი ვერ აიტანს. აი, მავალითად ჩვენ ვაჭირვლები ამ ჩვენი მამასახლისისაგან სწორედ რომ ნამდვილ ცეცხლში ვართ ჩაცვივებულნი. ღვთის მადლით ბატონი არა გვეოლია ჩვენს დღეში, არავეს ჩვენი თავი არ უქელნია და ეს კაცი ბატონი კი არა უარესი ვაგვიხნდა. ჩვენთვის სამართალი ხომ სადღა არის. თუ მოვედით სამართლისთვის და უთხარით რამე მაშინვე გადაიდგმეს კისერზე მამასახლისის ჯაჭვს და იმოდენასა გვეცემს, სანამ მოგვეშველება ვინმე და წაჰგლეჯს ჩვენს თავს ხელიდამ. სოტა, ცოტა რომ ვსთქვით მაქირში იმ მამასახლისისაგან უკანასკნელი სამოცი კაცია ნაცემგაბღერტილი. შეურაცხებას და სასოფლოდ ღანძღვას კიდევ ხომ თვლა არა აქვს. არ გაჩნია არც გლეხი, არც მღვდელი, არც ერი. ბატყერება დუქანში, გამოვა სასოფლოდ და მერე ვინც შეჭნდება მიჰყოფს პირს და მამას, დედას, ცოლს, შვილს სულ ერთმანეთში აურევს და თუ უთხარი რამე, ვაი, შენს ტყავს. ამას წინად გამოვიდა სასოფლოდ, დაინახა ერთი ჩვენებური მთავარი, რომელიც ხალხში იჯდა და რომლისაც ჯავრი სჭირს, რალაცაზე; მისდგა, ღანძღა უშვერი პირით და დაადგა თავზედ ადგი უნდა გვემოაო. ძლივს გაავდებინეს საწყალი... მთელ მაქირში უცემი ან ვულანძღავი არავენ არ გადაურჩათო.

ზამოვედით მოთმინებდამ და მიემართეთ მთელმა სოფელმა სასამართლოს, გვიშველეთ-თქო. ღღეს მივედით, არა გვითხრეს-რა, მეორედ მივედით არა გამოვიდა-რა, მესამეთ მივედით და დაიბარეს ჩაფარი, დააყენეს კარებში და უთხრეს: სტკიცე მათხანი, ვინც კი გამოვიდესო და გვითხრეს გადით აქედამო. როდესაც გამოვედით თავ-დაღუნულები და გავცილით კარებს ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი. მხლაც კი მეწვება ბეჭები ცემით. ჩვენ მაინც-და-მაინც არ ჩამოვეხსენით კიდევ ვიჩივლეთ და ბოლოს ჩამოვიდა ნახალნიკი, მოვახსენეთ ყველაფერი, დავამტკიცეთ და, რაკი საქმეს აღარა ეშველებოდა, აპყარეს ი ნანობაშიელს ჯაჭვი. ჯაჭვი კი აპყარეს, მაგრამ მაინც როგორ ვათედება საქმე, რა დღეს დავაყენებს ღმერთმა იცის. ასე გვემუქრება, რომ სიღნაღილამ მთელ გზას ას-ას მანათებიანით დაეუფნო და ჩინოვნიკებს ზედ ჩამოვატარებო და თქვენ კი თქვენსას გიზამთო. მინ იცის ხვალე ისევე კისერზე წამოგვასვან და რომ ეხლავე ავიყარნეთ ის გვირჩევენია...

მერ ვაგვიგია კიდევ შემდეგი: კანონითა და სჯულით მამასახლისს მაგდენი ძალა არა აქვს, საქმე სულების ხელში უნდა იყოს...

გაჭირვლი გლეხი.

უკახეთი

მსპანია. შევეჩიერობას ძნელად დაავიწყდება გასულს წელს გამოჩენილი სიმამაცე და გამბედაობა იტალიის მეფის ჰუმბერტისა. როდესაც იტალიის სხვა-და-სხვა ქალაქებში საშინლად მძინვარებდა ხოლერა—მეფე ჰუმბერტი გაბედულად მოგზაურობდა ხოლერისა ადგილებში, შედიოდა ხოლმე ხოლერისანებით მოფენილს საავადმყოფოებში და ყოველს ავადმყოფს უვლიდა ვარს. ღღეს ჰუმბერტისებურს გამბედაობას იჩენს მეფე მსპანიისა ალფონსი, რომლის საბრძანებლოში დღე-ღღეზედ მძაფრება ეს საშინელი სენი. მერაფერმა ვერ დააკავა მეფე ალფონსი. მინისტრნი დაემუქრენ მას, რომ სამსახურს თავს დავანებებთ, თუ მადრიდიდამ წასულხარო. მეფეს ვერ შეაცვლიენია გადაწყვეტილება ამ გარემოებამ. იენისის 20-ს დილა აღრიან გაიღვიძეს მეფე ალფონსი და უბრძანებს ეტლის შებმას. მართს სიტყვასაც არავეს ეტყვის, იღუმლად იახლებს მხოლოდ თვის ადიუტანტს და გასწევს ვოკზალისაკენ. აქ იყიდის ორ ბილეთს და გაემგზავრება პრანჟუეცში, სადაც წინადლით ხოლერამ სამოც-და-ხუთმეტი კაცი იმსხვერპლა. ძნელად წარმოსადგენია განცვიფრება დედოფლისა, მინისტრებისა და სრულიად მადრიდის მცხოვრებთა საზოგადოდ, როცა გავრცელდა ხმა, რომ პირველს მინისტრს ძანოვასს ბარათი მიუღია მეფისა ხოლერით მოდებულის ქალაქიდან, პა-

ნოვასი თუმცა იცნობს მეფის ხელს, მაგრამ არა სჯერა მეფე ალფონსის ასე მოულოდნელად გასწვლა მადრიდიდამ და მიეშურება სასახლეში. აქ დარწმუნდება ყოველისერში და გაექანება სამოქალაქო გუბერნატორთან, რომელიც ფიცხლავ მოასდენს განკარგულებას ჩქარი მატარებლის დამზადებისათვის. სულ რამდენიმე წამის შემდეგ პირველი მინისტრი, გუბერნატორი და მარშალი პავია გამოუდგებიან მეფეს... აი, რასა სწვრდა მეფე პირველს მინისტრს: «ძანოვას, მივლივარ პრანჟუეცში, სადაც მძინვარებს ხოლერა. ნუ ვაჯავრდებით. რა გასაკვირია, რომ მე მწადის ვიხილო ჩემი ხალხი, რომელიც სულსა ლევს უბრალო დაჩივლების წარმოუთქმელად. ალფონსია. საზღვარი არა ჰქონდა ხალხის ალტაცებას. მადრიდის მცხოვრებნი დილიდამვე შეუდგენ მზადებას, რომ ღირსეულად დაუხდენ მეფეს. მადრიდის ვოგზალზე ათასობით გროვდება ხალხი. აქვე არიან მინისტრნი და სახელმწიფოთა წარმომადგენლები. ღიდი დარბაზი ვოგზალისა წამხედ მორთეს—აქ უნდა ეკმიათ მეფისათვის. მოისმება ნიშანი მატარებლის მოახლოებისა. ხალხი აზვირთდება გაისმის ალტაცებითი გაძახილი. მატარებელი დადგება და მეფე ალფონსი გამოჩნდება; მას თან ახლავს ძანოვასი. მადრიდის მცხოვრებთ არ ახსოვთ, რომ ასეთის ალტაცებით ვისმეს მიგებოდენ მსპანიაში. პირველს მინისტრს სახეზე ორ-გვარი გრძნობა ეხატება: სინარული და უკმაყოფილება, სინარული—რომ უნებლად დაბრუნდა მეფე, უკმაყოფილება—რომ ავანდებოდა ის შიში, რომელიც მოელოდა მეფეს, როცა იგი ათვლიერებდა ხოლერისანებით მოფენილს საავადმყოფოებს. ჰოველს ლოგინთან მიდიოდა მეფე, ყველასათვის ჰქონდა თითო-ორ-ორი საიმედო სიტყვა. პრანჟუეცში ხალხის ალტაცებამ სიგიჟედ მიადწია, როცა მეფე დაინახეს. ღიდი, პატარა, ქალი, კაცი ფხვ-ქვეშე ვარდებოდა მეფეს. როდესაც პალატაში გაიგეს მეფის გამგზავრება—შეიქნა გრიალი: «გაუმარჯოს მეფე ალფონსს!» და სხდომები შესწყვეტეს. ამ წამად დონ-ალფონსი ყველასაგან ცნობილი და უსაყვარელესი კაცია მთელს მსპანიაში. მადრიდს კარზე ადგას ხოლერა: პრანჟუეცი სულ რამდენიმე ერსის მანძილზე მადრიდიდამ. ღა მეფე ალფონსი მის მაგივრად, რომ მადრიდიდამ გავიდეს, შორს იყოს ხოლერისაგან, არა თუ მამაცად მოელოს ამ საზარელს სტუმარს—მიდის იმ ადგილებშიც, სადაც ეს სტუმარი სწვევია კიდევ და ერთობ განუსაზღვრელ ზვარაკს თხოულობს მასპინძლისაგან.

ტელეგრაფები
„ჩრდილოეთის სააგენტოსი“
იელისის 3-ს.
ლონდონი. თეიანხიდამ ტელეგრაფით აცხადებენ Standard-ს, რომ

ინგლისის გამომცემი კომისიის ქრისტიანული გაემკვიდრება.

ლორდ ჩერჩილმა განაცხადა საზოგადოებას შალატში, რომ ინგლისის მმართველობას ანაფორა მალაზანა...

«Daily Télégraph»-ის სიტყვით რამდენიმე დღის შემდეგ ინგლისი შეუდგება ცხრა მილიონის სესხის გაღებას...

დუბლინი. მიუნსტერის ბანკმა შეაჩერა სესხის გაცემა.

ივლისის 4-ს.

კვირბუნი. ურსლს „Восход“-ს და „Недѣльная Хроника Восхода“-ს გამომცემლობა...

ბელგრადი. აქ ამტკიცებენ, ვითომც ბოლგარების მთავრობა ჩერნოგორიადამ გსდმასხლებულებს უთმობდეს...

ბირჟა

ბეჭდურთა ივლისის 2.

Table with 2 columns: Item name and price. Includes items like 100 მანათის კურსი სამის, 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე, 100 მან. კურსი სამის თვით პარიზეზე, 3ოლლიმპერიოლები, ტამოუნის კუპონები, ვიცტორის მანათი, ბიროუს დისკონტი, 5% ბილეთები სანემ-სიფო ბანკისა, 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა, მეორე გამოცემისა, მესამე გამოცემისა, მეოთხე გამოც., მეხუთე გამოც., 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან., 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა, 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა, ოქროს რენტა, თბილისის საადგილო-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები, ქუთაისის საადგილო-მამულო ბანკის გირ.

ცნობანი

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 კათათვიდამ 1 მარიამობის თვიმდე 1885 წ.

გამომცემი ჰური რუსეთის ფუქვილისა — 1 გრ. 5 კ. აქურის ფუქვილისა: ზირგელის ხარისხისა — 1 გ. 2 1/2 მეორისა — 1 გ. 2 კ.

აქვე ფუქვილისა თორნეში გამომცემი

ცხვარი:

ზირგელი ხარისხისა — 1 გ. 4 1/2 მეორისა — 1 გ. 3 კ. მესამისა — 1 გ. 2 1/2

ჯვარის-მამის ჰური:

ზირგელის ხარის. ღავაში 1 გ. 4 1/2 მეორის ხარის. ღავაში 1 გ. 3 1/2 მესამისა — 1 გ. 3 კ.

ძროხის სორცი:

ზირგელის ხარისხისა — 1 გ. 7 კ. მეორისა — 1 გ. 6 კ. სუკი — 1 გ. 14 კ. ცხვრის სორცი — 1 გ. 8 კ.

ღორის სორცი:

ზირგელის ხარისხისა — 1 გ. მეორისა — 1 გ.

რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის თბილისიდან ბათუმისაკენ 8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდან თბილისში შემოდის 10 საათ. 25 წამ. ღამით.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზე 55 წამზე ღამით.

ბაქოდამ თბილისში შემოდის 8 საათ. დილით.

თბილისიდან სურამისაკენ 3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდან თბილისში შემოდის 8 საათზე 24 წამ. დილით.

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაუროთა საცნობელად, რომ 1885 წლის ენკენისთვის სასწავლებელში იქნება მხოლოდ ოც-და-ათ-უთმეტის ყმაწვილისათვის თავისუფალი ადგილი პირველს განყოფილებაში, რომელში შემომავლებლებს ეგვამენი არ მოეთხოვებათ, მაგრამ წლოვანობა მათი კი არ უნდა აღემატებოდეს შეიღს წელიწადს. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე, 20 აგვისტოდან 29-მდის და თხოვნასთან ერთად წარმოადგინონ წლოვანების მოწმობა და აზნაურობისა, ან აზნაურობის მოწმობის მაგიერ ბანკის მოწმობა, რომ ყმაწვილის მშობლები (ან დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა რიცხვში ითვლებიან. სხვა განყოფილებებში და პირველს და მეორე პროგიმნაზიულს კლასებში არც ერთი ადგილი არ არის თავისუფალი. სწავლა დაიწყება ყველა კლასებში პირველს ენკენისთვის. (6-2)

ახალ მამაშულთა

თ. ა. ი. ჯანდიერის და აძს.

ღვინის სახდაფში

ისყიდება კარგად შენახული ნამდვილი ღვინოები ძახეთის საუკეთესო ზერებისა; ამასთან თეთრი და წითელი ღვინო სოფ. ვაჩნაძიანისა—თ. ჯანდიერისა.

სოფლად გამსვლელთ შეუძლიანთ მოითხოვონ ერთბაშად.

სოფლ. აკი, სერგიევის ქუჩა, № 2. (10-5)

Advertisement for PEPTONOVYI PITATEL'NYI SHOKOLAD' by A. LEMANA. Includes text: 'Приятного вкуса, полезен детям и взрослым, особенно малокровным, какъ увеличивающій питание.' and 'Съ реаломъ. Медицинск. Депоарханага'.

(Ц. 15375.). (50-8)

არყის ხის ბაღში

ლოპტორის ლენგილისა

საყვარელი სატულეტო საშუალება მთელის განათლებულის ქვეყნების ქალებისა.

აძლევს კანს სვეტაკს სითეთრეს, სპობს ქორფოს, ფერიკამელას, ასუფთავებს მზისაგან გარუქლულს სახეს, ასწორებს მოღმეკილს ადგილებს და აძლევს კანს სინაზეს და ყმაწვილურს შესახედაობას.

მეტის მეტად სასიამოვნოა ხმარების დროს.

რუსეთში შემოტანა ნება დართულია ს. პეტერბურგის სამედიცინო დეპარტამენტისაგან.

ბევრი სიყალბე სუფევს!! ამისათვის გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ შემდეგს: თეთრს რძის ფერს ფლაკონს, კასიულზედ ავსტრიულს გერბს (არწივს), ეტიკეტს, რომელზედაც ფაბრიკის მარკაა (ქალი არყის ხის ქვეშ იმყოფება და სურა უჭირავს ხელში) და ვიწრო იარლიკს რუსულის ზედ წარწერით.

საშუალება ნაცადია 35 წლის განმავლობაში.

1884 წელს მილიონ ნახევარზედ მეტი ფლაკონია გაყიდული!!! შლაკონი ღირს 1 მან. 65 კაპ. უცხო ქალაქების მცხოვრებნი 60 კაპ. გასაგზავნს უმატებენ.

იყიდება რუსეთის ყველა სააფთიაქო მაღაზიებში: მოსკოვში რ. ქეღერთან და კომპ. კ. შერსინთან, გეზლინთან, ბ. ბრუსთან, ლიუშერთან, ბირშფელგინთან, მატესენსთან, ს. ჰეტერსუგაში სააფთიაქო საქონლის სავაჭრო რუსეთის საზოგადოებაში, თბილისში სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ძვეკასიის საზოგადოებაში და მისსავე განყოფილებაში ქ. ბაქოს.

Ц. 12.233 (12-8)

Prисяжн. поверенный А. С Френкель перешел на другую квартиру: въ Сололаки, по Нагорной улицѣ, въ д. Мерабова. Туда-же переведены редакція и администрація журнала «Юридическое Обзорѣніе».

ОТКРЫТА ПОЛУГODOВАЯ ПОДПИСКА НА ЕЖЕНЕДЕЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“, издаваемый въ г. Тифлисѣ. (ГОДЪ ПЯТЫЙ) Подписная цѣна, съ пересылкою и доставкою, НА ПОЛЪ ГОДА 6 р. Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р. Подписавшимся на весь годъ высылаются вышедшіе №№. Желающіе приобрести журналъ за прежніе года уплачиваютъ за 1881 г. 8 р. 20 к., а за всѣ послѣдующіе—по 10 р. за каждый годъ. Для г.г. студентовъ годовая подписка 8 р. (вмѣсто 10), а полугодовая—5 р. (вмѣсто 6). Иногородн. подп. «Юрид. Обоз.» имѣютъ право на полученіе чрезъ редакцію свидѣній о положеніи ихъ дѣлъ въ Тифл. судеб. учрежд.—въ тѣхстѣ журнала безвозмездно, а письменныя и телеграфныя—по соглашенію съ ред. журнала. Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа: въ Администраціи журнала—въ Тифлисѣ, Сололаки, Нагорная улица, д. Мерабова, также въ Москвѣ и С.-Петербургѣ—въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова. (5-2)